



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ბიოფიზიკა

**„მიკრობ კანდიდაზე, PCL წამლის გადამტან ნანონაწილაკებში
შეფუთული ანტიბიოტიკის მოქმედება და კომპლექსური
ნანონაწილაკების კალორიმეტრული კვლევები“**

მარიამ შაქარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამაზ მძინარაშვილი
ფიზ.მათ.დოქტორი, სრული პროფესორი
თანახელმძღვანელი: ელენე ლომაძე დოქტორანტი

თბილისი 2019



Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Exact and Natural Sciences

Master's thesis for get academic degrees in Biophysics

**“Action of antibiotics packaged in nanoparticles transperring PCL drug
on microbe candida and calorimetric studies of complex nanoparticles”**

Mariam Shaqarashvili

Scientific Supervisors:

Professor **Tamaz Mdzinarashvili**

Doctor of Phys.-Math. Sciences

Department of Physics

Tbilisi State University

Elene Lomadze PhD

Tbilisi 2019

ანოტაცია

ნაშრომი ეხება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია მიკრობებზე ანტიბიოტიკების მოქმედებასთან. აღნიშნულ თემატიკაზე მუშაობს ბევრი სამეცნიერო ცენტრი, ვინაიდან უკვე მრავალია ისეთი პათოგენური მიკრობები, რომლებიც ანტიბიოტიკების მიმართ გამოიჩევიან რეზისტენტულობით. ჩვენ ნაშრომში შესწავლილია მიკრობი კანდიდა ალბიკანსი, რომელიც არის პათოგენური სოკოვანი მიკრობი (არა ბაქტერიული), არის ფართოდ გავრცელებული და ამავე დროს იგი ადვილად აინფიცირებს ადამიანის საჭმლის მომნელებელ სისტემას. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ვინაიდან იგი არის არა ბაქტერიული წარმომავლობის მიკრობი, მისი განადგურება შესაძლებელი ხდება მხოლოდ გარკვეული ტიპის ძლიერი ანტიბიოტიკების მოქმედებისას. ვიცით, რომ ანტიბიოტიკების მოხმარება ერთის მხრივ როგორც დადებით, ასევე უარყოფით შედეგს გვაძლევს, რადგანაც იგი მოქმედებს საზიანო და სასარგებლო ბაქტერიებზე ან მიკრობებზე და ანადგურებს მათ. ჩვენს შემთხვევაში ანტიბიოტიკი, კეტოკონაზოლი გვაქვს მოთავსებული ნანო ნაწილაკში PCL-ში, რომელსაც აქვს ფუნქცია და უზრუნველყოფს წამლის მიწოდებას, კონკრეტული სამიზნე უჯრებამდე დაუზიანებლად და ახდენს წამლის გამონთავისუფლებას იმ მიდამოში, ასევე ჩვენს მიერ ჩატარებულმა ცდებმა ტურბიდომეტრული და კალორიმეტრული დაგვანახა, რომ ნანო ნაწილაკში მოთავსებული ანტიბიოტიკი უფრო ეფექტურად ანადგულებს ბაქტერიას ან მიკრობს ვიდრე თავისუფალი სახით მიღებული ანტიბიოტიკი.

Anotation

Labour refers to one of the most actual matter, which concerns with antiobiotics operation on microbes. A lot of scientific centers work on this subject, because, there are many such pathogenic microbes, which are distinguished with resistance to antibiotics. On our labour, microbe candida albicans is learnt, which is pathogenic FUNGUS microbe (non bacterial) and it is widely spreaded, and it's easily infect human's digestive system. It's also indicated that in view of the fact it is bacterial lineage microbe, its destruction is possible only when powerful antibiotics operates on it. We know, that, uses of antibiotics have as positive as well negative results, because they operates harmful and useful bacterias or microbes and they destroy them. On our case we have placed antibiotic KETAKONZOLI in PCL particle, which has function and which guaranteed to give drug, to specific back-sight cell undamagedely and it exonerates drug on that area. On our experiment on turbidium and kalorimetre saw us that antibiotics which is placed in nanoparticles destroy bacteria or microbe much more effective than free antibiotics.

სარჩევი

შესავალი	6
ნაწილი I	
ლიტერატურული მიმოხილვა.....	8
თავი I	
1.1. მიკრობები ჩვენს გარშემო	8
1.2. მიკრობებით გამოწვეული ინფექციები	9
1.3. სოკოვანი მიკრობი კანდიდა.....	10
1.4. ანტიბიოტიკები და მათი რეზისტენტობა.....	14
1.5. ნანონაწილაკები.....	16
თავი II	
ექსპერიმენტული ნაწილი, გამოყენებული მასალები და მეთოდები.....	22
2.1. კვლევებში გამოყენებული მასალები.....	22
2.2. კალორიმეტრიული მეთოდი	22
2.3. ტურბიდიმეტრიის მეთოდი.....	27
თავი III	
ჩატარებული კვლევები და მიღებული შედეგები	29
3.1. კეტაკონაზოლი/PCL ნანონაწილაკების კალორიმეტრიული კვლევები.....	29
3.2. მიკრობიოლოგიური ექსპერიმენტები მიკრობ კანდიდაზე	31
თავი IV	
მიღებული შედეგების ანალიზი	35
4.1. მიკრობიოლოგიური კვლევების ანალიზი	35
4.2 კალორიმეტრიული კვლევებია ანალიზი	36
დასკვნები:.....	38
გამოყენებული ლიტერატურა.....	39

შესავალი

ჩვენს გარშემო უამრავი მიკრობი არსებობს, ისინი მიკროსკოპილი ორგანიზმები არიან, რომლებიც წარმოადგენენ როგორც ერთ უჯრედს. აქვთ მაღალი მეტაბოლოზმი, სწრაფი და უხვი გამრავლების უნარი. მიკრობები, რომლებიც ჩვენს ირგვლივ არსებობს არის სხვადასხვა ფორმის და ზომის: სფეროსებრი, ჩხირისებური ანუ ცილინდრული და სპირალური. სფეროსებრივ ბაქტერიებს კოკები ეწოდებათ. მიკროორგანიზმები არსებობენ ნიადაგში, წყალში, ჰაერში, ცოცხალ ორგანიზმებზე და მათ შინაგან ორგანოებში. შეიძლება ითქვას, რომ ცხოველები და მათ შორის ადამიანი, მრავალფეროვანი მიკროორგანიზმების და ბაქტერიების თავშესაფარია. ამ ნამცეცა არსებებიდან, რომელთა დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია, ზოგი გარკვეულ სასარგებლო ფუნქციებს განაპირობებს ორგანიზმში, მაგალითად მონელებას, ხოლო ზოგი შესაძლოა სასიკვდილოდ საშიში დაავადებების გამომწვევი მიზეზი გახდეს. ადამიანის ორგანიზმი სავსეა მიკრობებით, მონაცემების მიხედვით, ჩვენს შიგნით ბაქტერიების უჯრედების რაოდენობა 10-ჯერ აღემატება სხეულის უჯრედების რაოდენობას. განსაკუთრებით ბევრია ბაქტერიები კანზე და კუჭ-ნაწლავში. ამ ბაქტერიების დიდი უმრავლესობა ადამიანისთვის უსაფრთხოა, ზოგიერთი იმუნური სისტემისთვის სასარგებლოც კია, თუმცა არსებობს პათოგენური ბაქტერიებიც, რომლებიც იწვევენ ისეთ დაავადებებს, როგორცაა ქოლერა, სიფილისი, კუთრი, შავი ჭირი, ციმბირული წყლული. მრეწველობაში ბაქტერიები გამოიყენება ისეთ პროცესებში, როგორცაა საკანალიზაციო წყლების გაწმენდა, ყველის და სხვა რძის პროდუქტების წარმოება. ადამიანის ორგანიზმში ასევე არსებობენ სოკოვანი მიკრობები, რომელთა გამრავლება ორგანიზმში იწვევს ინფექციებს, სხეულის თითქმის ყველა ნაწილში. ამ მიკრობების წინააღმდეგ მიმართავენ მძლავრ იარაღს — ანტიმიკრობულ პრეპარატებს. ასე წლის წინათ ხალხმა იცოდა, რომ ზოგი მიკრობი დაავადებას იწვევდა, მაგრამ ანტიმიკრობულ მედიკამენტებზე იმხანად არავის სმენოდა. ამიტომ, თუ ვინმეს სერიოზული ინფექციური დაავადება შეეყრებოდა, ექიმებს ბევრი ვერაფრის შეთავაზება შეეძლოთ. ადამიანი თავისი იმუნიტეტის იმედზე რჩებოდა. ინფექციას იმუნური სისტემა უნდა გამკლავებოდა, ხოლო თუ ის სუსტი აღმოჩნდებოდა, ბრძოლა ხშირად ტრაგიკული შედეგით მთავრდებოდა. მიკრობებით დაინფიცირებული უმნიშვნელო განაკაწრიც კი ძალიან ხშირად სიკვდილის მიზეზი ხდებოდა. წლების შემდეგ შექმნილმა ანტიბიოტიკებმა გარკვეული დროის განმავლობაში გვამღებდა შედეგს, მაგრამ ანტიბიოტიკებით გატაცებამ და მათმა ბოროტად გამოყენებამ დამღუპველი შედეგები

მოიტანა. ინფექციური დაავადებები არათუ აღმოიფხვრა, არამედ უფრო მეტიც — მათ ახალი ძალებით შემოუტეეს კაცობრიობას და მსოფლიოში სიკვდილიანობის უპირველეს მიზეზად იქცნენ. მიკროორგანიზმები წამლებისადმი რეზისტენტულები გახდებოდნენ, საწიროა შემუსავდეს მათ წინააღმდეგ ახალი მეთოდები.

ნაწილი I

ლიტერატურული მიმოხილვა

თავი I

1.1. მიკრობები ჩვენს გარშემო

მიკროორგანიზმი, მიკრობები (ბერძ. μικρός) *mikrós*, "პატარა" და ὄργανισμός „ორგანიზმი“) — მიკროსკოპული ორგანიზმი, რომელიც შედგება როგორც ერთი უჯრედი. მიკროორგანიზმები არსებობენ ნიადაგში, წყალში, ჰაერში, ცოცხალ ორგანიზმებზე და მათ შინაგან ორგანოებში. მიკროორგანიზმების შემსწავლელი მეცნიერებაა მიკრობიოლოგია. ისინი იმდენად მცირე ზომისანი არიან რომ, მათი შეუიარაღებელი თვალით დანახვა შეუძლებელია. [2][3] ზოგიერთი მიკრობი იმდენად მცირე ზომის არის რომ, მასზე დაკვირვებისას იყენებენ ელექტრონულ მიკროსკოპს რომელიც, საგნებს 25000-ჯერ ადიდებს. მიკროორგანიზმები პროტისტების სამყაროს მიეკუთვნებიან. ისინი ცხოველების და მცენარეებისაგან განსხვავდებიან უფრო სუსტი მორფოლოგიური დიფერენციაციით. მიკროორგანიზმები იყოფა ორ ჯგუფად: უმაღლესი პროტისტები-რომლებიც მიეკუთვნებიან ეუკარიოტები, რომლებიც უჯრედული ორგანიზაციით ემსგავსებიან ცხოველურ და მცენარეულ უჯრედებს და რომელიც მორფოლოგიურად სიცოცხლის ყველაზე რთულ ფორმას შეესაბამება. და უმდაბლესი პროტისტები-ბაქტერიების უჯრედის აგებულებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ყველა სხვა ცოცხალი ორგანიზმისაგან, პირველ რიგში თავის სიმარტივით. ისინი პროკარიოტებს მიეკუთვნებიან და ცოცხალი ორგანიზმების დიდ და მორფოლოგიურად განსხვავებულ ქვესამყაროს წარმოადგენენ. თავდაპირველად პროკარიოტებისაგან ჩამოყალიბდა ორი სამყარო: ერთი ეუბაქტერიები, რომელიც ყველა გრამდადებითი, გრამ უარყოფით და ცოანობაქტერიას აერთიანებს. ხოლო მეორე ევოლუციის მომდევნო ეტაპებზე გაიყო არქეაქტერიებად და ეუკარიოტულ ორგანიზმებად. მიკრობები, რომლებიც ჩვენს ირგვლივ არსებობს არის სხვადასხვა ფორმის და ზომის: სფეროსებრი, ჩხირისებური ანუ ცილინდრული და სპირალური. სფეროსებრივ ბაქტერიებს (ბერძნულად *coccus*-მრგვალი) კოკები ეწოდებათ. თუ კოკები სიბრტყეში განლაგებულნი არიან წყვილ-წყვილად მათ დიპლოკოკები ეწოდებათ. ხოლო თუ ისინი რამდენიმე მოლეკულის სახით არიან განლაგებულნი მათ სტრეპტო კოკები ეწოდებათ. ხოლო ყურძნის მტევნის ფორმის აგებულება აქვთ სტაფილოკოკებს.

ჩხირისებრი ბაქტერიები ანუ ცილინდრული ბაქტერიები სიბრტყეში განლაგებულნი არიან ძეწკვის მსგავსად და ისინი ძირითადად სიგრძეში იზრდებიან, ისინი თავის ფორმით

კოკებს გვანან და ამიტომაც მათ კოკო ბაცილებს უწოდებენ. ისეთ ჩხირისებრ ბაქტერიებს, რომლებსაც სპორები აქვთ კი მათ სტრეფტო ბაქტერიები ეწოდებათ.

სპირალური ფორმის ბაქტერიებიც იყოფა 3 ჯგუფად ესენია: ვიბრიონი რომელსაც, ოდნავ დახვეული სპიროქატები და ჩხვეული ფორმის მქონენი სპირილები. მიუხედავად იმისა, რომ ბაქტერიული უჯრედი მცირე ფორმისაა და სიცოცხლის ყველაზე დაბალ საფეხურზე დგანან მათი უჯრედის აგებულება არც ისე მარტივია. მიკრობების უჯრედი გარშემორტყმულია გარსით, რადგანაც ეს გარსი უფერულია ამიტომაც მიმართავენ უჯრედის პლაზმოლიზს ე.ი. დაამუშავებენ Na-ის 2%-იანი ხსნარით, რომლის შდეგადაც უჯრედი იკუმშება და გარსი ადვილად ცილდება მას და მიკროსკოპში ნათლად მოჩანს. თუ გარსი მკვრივია ბაქტერიული უჯრედი უფრო მდგრადია. ნახშირწყლებიდან გარსის შემადგენლობაში შედის პოლისაქარიდები, ლიპიდები, აზოტოვნიებიდან ცილები და ამინომჟავები, შესაძლოა ქიტინიც.

ბაქტერიულ უჯრედს მკვეთრად გამორჩეული ბირთვი არ გააჩნია, წლების მანძილზე ეს საკითხი პრობლემურ საკითხად რჩებოდა. ბაქტერიულ უჯრედს ცალკე გამოყოფილი ბირთვი არ გააჩნია, ხოლო უჯრედში არსებული ბირთვის ბუნება ძალიან რთულია.

ბაქტერიებს გააჩნიათ წამწამები და სპორები. სპორები მათი თავდაცვის საშუალებაა, ხოლო წამწამებით ისინი გადაადგილდებიან. ისინი პლოტოპლაზმური ძვებია და მიკროსკოპშიც ნათლად ჩანს, წამწამების კავშირი პლოტოპლაზმასთან არაა მტკიცე და მათი მოშორება შეიძლება, ამით უჯრედი არ წყვეტს არსებობას, მხოლოდ მოძრაობის უნარს კარგავს იგი.

მიცელიალური სოკოები, როგორც ეუკარიოტული ორგანიზმებია, რომელთაც პროკარიოტებთან განსხვავებით გააჩნიათ ბირთვი, ხასიათდებიან გენეტიკური ინფორმაციის უფრო ფართო სპექტრით და ასევე ორგანული ნაერთების მრავალფეროვანი კონვერსიის უნარით. [3]

1.2. მიკრობებით გამოწვეული ინფექციები

ბევრი დაავადება ინფექციურია. ეს ნიშნავს, რომ მათი გამომწვევი მიკროორგანიზმები ჰაერით ან ფიზიკური კონტაქტით გადადის ადამიანიდან ადამიანზე. ასეთ მიკროორგანიზმებს მიეკუთვნება ბაქტერია, ვირუსი, პრიონი, და სოკო.

ბაქტერიებით გამოწვეული სნულებებია: საკვებით მოწამვლა, ტუბერკულოზი, ტეტანუსი და ხეხილის ავადმყოფობა. ბაქტერიებს ანტისეპტიკური პრეპარატებითა

და ანტიბიოტიკებით ებრძვიან. ზოგიერთი ბაქტერიისაგან თავდაცვა წინასწარი აცრიტაც შეიძლება. ამგვარ დაცვას იმუნოზაცია ჰქვია.[4]

ვირუსი რამდენიმე დაავადებას იწვევს, მათ შორის — შიდსს, ცოფს, წითელას, ჩუტყვავილას, გრიპსა და ჩვეულებრივ გაციებას. ვირუსულ დაავადებას ანტიბიოტიკები ვერ მოერევა, სამაგიეროდ ამ შემთხვევაში ანტივირუსული პრეპარატები გამოიყენება.[5]

პრიონი ბაქტერიასა და ვირუსზე მომცროა და მხოლოდ ცილებისგან შედგება. მეცნიერთა აზრით, პრიონები იწვევს ძროხის ცოფს, რომელიც შესაძლოა დაავადებული პირუტყვებიდან ადამიანზეც გადავიდეს.

სოკო იწვევს მსხვილფეხება რქოსანი პირუტყვის ჩლიქების ლპობასა და მცენარეთა მრავალ დაავადებას. სოკოვან სნეულებებს საგანგებო ფხვნილებითა და მალამოებით კურნავენ, რომლებიც რომლებიც მოიცავენ მკურნალობის ფართო კურსს. ადამიანში იწვევს მიკოზს, სირსველსა და სხვა მწვავე სნეულებებს, ერთ-ერთი სოკოვანი მიკრობია კანდიდა, რომელიც იწვევს ინფექციას პირის ღრუში, კუჭ-ნაწლავში საშარდე სისტემაში, სასქესო ორგანოებში, ამავე დროს დიდია მისით დაინფიცირებულთა რაოდენობა.[6]

1.3. სოკოვანი მიკრობი კანდიდა


კანდიდა პათოგენური მიკრობია, რომელიც არის ადამიანის მუცლის ფლორის მნიშვნელოვანი წევრი.[7] მას შეუძლია არსებობა ადამიანის სხეულის გარეთაც, იგი გვხვდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტ-ში და ჯანმრთელი ადამიანის პირის ღრუში 40-60% , ასევე გვხვდება ვაგინაში, ფრინველთა გადასამუშავებელ ტრაქტში, ზოგადად მსოფლიო მასშტაბით არის გავრცელებული.[8] ის კომენსალური ორგანიზმია, მაგრამ შეიძლება გახდეს პათოგენურიც იმუნოდეფიციტურ ადამიანში სხვადასხვა პირობების ქვეშ.[9] სოკოვანი უჯრედების ზრდა ორგანიზმში იწვევს მწვავე ინფექციებს. კანდიდას აკვირდებიან HIV- თი დაინფიცირებულ პაციენტებში, იგი ყველაზე გავრცელებული სოკოვანი ნაირსახეობაა, რომელიც ჩამოყალიბებულია იმპლანტირებულ სამედიცინო მოწყობილობებზე ან ადამიანის ქსოვილზე.[10]

კანდიდას სხვადასხვა სახეობა როგორცაა *C. albicans*, *C. Tropicalis*, *C parapsilosis* და *C. glabrata* პასუხს აგებენ 50-90% ადამიანებში კანდიდას შემთხვევებზე.[11] მოკვდავთა 40% -ს გააჩნიათ სისტემური კანდიდა *C. Albicans*-ის გამო.[12]

სტატისტიკურად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, წელიწადში კანდიდათი დაინფიცირებულთა სიკვდილიანობა 2800 დან 11200 მდე მერყეობს.[13] მიუხედავ იმისა, რომ ეს ციფრები ალბათ არ ასახავენ ჭეშმარიტ გავრცობას დაზიანების, რომელსაც ეს


მიკრობი იწვევს. ახალი კვლევები გვაჩვენებს, რომ მას შეუძლია გადაკვეთოს ტვინის სისხლის ბარიერებიც. [14]

Candida albicans



სურ: 1.1

C. albicans გამოიყენებენ, როგორც ნიმუშ ორგანიზმად ბიოლოგიისთვის, მას ზოგადად მიმართავენ, როგორც დიმორფულ სოკოს, რადგან ის იზრდება, როგორც მიკრობი და ბოჭკოვანი უჯრედი თუმცა მას აქვს რამდენიმე განსხვავებული მორფოლოგიური სახეობა. იგი დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა მნიშვნელოვან დიპლოიდურ ორგანიზმად, ჰაპლოიდური ეტაპის გარეშე, თემცა ახლა ჰაპლოიდის ეტაპის გვერდით *C. Albicans* შეძლია იარსებოს ტეტრაედის მდგომარეობაში, ეს უკანასკნელი ფორმირდება, როდესაც დიპლოიდური *C. Albicans*-ს უჯრედები ხვდებიან ერთმანეთს *opaque* ფორმაში.[15] დიპლოიდური უჯრედის ზომა არის დაახლოებით 29 Mb და ცილების 70%, რომლებიც აკოდირებენ ამ მიკრობს, ჯერ კიდევ არ არიან დახასიათებულნი.[16] *C. Albicans* მარტივად მრავლდება (ვითარდება) ლაბორატორიებში და შესწავლილი *in vivo* და *in vitro*-თი.



სურ: 1.2 კანდიდა ალბიკანსის ინფექციის ადგილები.

განვიხილოთ კანდიდას მიერ გამოწვეული ინფექციების მიზეზები, სიმპტომები და მკურნალობის ტიპები. [17]

კანდიდამ შესაძლებელია გამოიწვიოს საშარდე სისტემის სოკოვანი ინფექცია, რომელიც ყველაზე გავრცელებულია, კანდიდამ შესაძლებელია დააინფიციროს საშარდე მილის ქვედა ნაწილი ან ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ააღწიოს თირკმელებამდე. [18]

საშარდე სისტემის კანდიდათი დაინფიცირების რისკები იზრდება და შესაძლებელია გამოიწვიოს: ანტიბიოტიკების მიღების კურსმა, სამედიცინო მოწყობილობებმა, საშარდე კათეტერმა, რომლებიც იდგმება ორგანიზმში, თუ ადამიანს აქვს დიაბეტი და სუსტი იმუნური სისტემა. სიმპტომები, რომლებიც შეიძლება გამოვლენილ იქნას ინფიცირებამდე: ხშირი შარდვა, წვა და ტკივილი შარდვისას, სისხლი შარდში და საშვილოსნოს საკვერცხეების ტკივილი. [19] ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია სიმპტომები საერთოდ არ გამოვლინდეს, მაგრამ კანდიდათი დაინფიცირდეს ადამიანი. მკურნალობა რეკომენდირებულია ინდივიდუალურად, სიმპტომებიდან გამომდინარე. ხშირად გამოიყენება ანტისოკოვანი წამალი ფლუკონაზოლი. [20]

სასქესო ორგანოთა სოკოვანი ინფექცია. სასქესო ორგანოებს ყველაზე ხშირად აინფიცირებს კანდიდას სახეობა ალბიკასი. [21] ჩვეულებრივ, სასქესო ორგანოში არსებობენ ბაქტერიები, რომლებსაც ქვიათ ლაქტობაცილუსები და უზრუნველყოფენ კანდიდას რაოდენობის შეკავებას ორგანოში კონტროლის ქვეშ, თუმცა როდესაც ლაქტობაცილუსის დონეები ირღვევა კანდიდას რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს და გამოიწვიოს ინფექცია. ინფექცია გადამდებია სქესობრივი კონტაქტის დროს, დაინფიცირებულმა ადამიანმა შეიძლება გადადოს სრულიად ჯანმრთელ ადამიანს. [22] ინფექციას გამოვლენის რისკები იზრდება ადამიანებში რომლებთაც აქვთ დანიშნული ანტიბიოტიკების არასწორი კურსი, დიაბეტი, ორსულებში, ადამიანები რომლებიც იღებენ კონტრაცეფტულ დასაღვე წამლებს. სიმპტომები: წვის შეგრძნება შარდვისა და სექსუალური კონტაქტის დროს, სასქესო ორგანოში ან მის გარშემო ქავილი და ტკივილი, სიწითლე, შეშუპება, გაღიზიანება, თეთრი სველი ლორწოვანი გამონადენი. კანდიდათი ინფიცირებიდან როგორც ქალები ასევე მამაკაცებიც. [23] მკურნალობა: თუ საქმე არ გვაქვს მწვავე ინფექციასთან მისი მკურნალობა მცირე კურსებით არის შესაძლებელი ან ანტისოკოვანი მალამოებით, ხოლო ინფექცია გამწვავებულია მაშინ საჭიროა მკურნალობის გრძელი კურსი, დასაღვევი წამლებით, მალამოებით და სავლები საშუალებებით. [24]

პირის ღრუს სოკოვანი ინფექცია. პირის ღრუში სადაც გვაქვს ნორმალური მიკროფლორა, კანდიდა ალბიკანსმა შესაძლებელია გამოიწვიოს ინფექცია თუ ის მრავლდება. იგი შეიძლება დარჩეს მხოლოდ პირის ღრუში ან გავრცელდეს ცხვირსა და ყელის უკანა ნაწილში, მკაცრი ინფექციის დროს შესაძლებელია ყელის უკანა ნაწილსაც გასცდეს. მაღალი რისკი დაინფიცირების არსებობს ადამიანებში ვინც ხშირად იღებენ ანტიბიოტიკებს, აქვთ არაკონტროლირებადი დიაბეტი, დაბალი იმუნიტეტი. სიმპტომები: პირის ღრუში თეთრი ლაქისებრი გამონაყარი, რომელსაც აქვს ხაჭოს გარეგნობა და მასზე ხელის შეხებით შეიძლება სისხლი წამოვიდეს. წვისა და ტკივილის შეგრძნება პირში. სიწითლე პირში ან პირის კუთხეებში, სმა-ჭამის პრობლემა, გემოვნების დაკარგვა, შეგრძნება თითქოს პირის ღრუში გხვდება თმა ან ბამბის ნაგლეჯი.[25] თუ არ ვუმკურნალებთ და მივაცურადებთ შესაძლებელია ინფექციამ სისტემური ხასიათი შეიძინოს. მკურნალობა: პირის ღრუ მუშავდება ანტიფუნგალური პრეპარატებით, რომელიც შესაძლებელია იყოს აბის, სითხის ან დრაჟე-კაფსულების სახით. რთული ინფექციების სამკურნალოდ მიმართავენ ფლუკონაზოლის გრძელ კურსებს. ბოლო წლებში მკურნალობის ეს მეთოდები აღარ არის ეფექტური ისეთი მიკრობების მიმართ, რომლებიც მაღალი რეზისტენტულობით გამოირჩევიან ანტიბიოტიკების მიმართ.[26]

კანის სოკოვანი ინფექცია. ამ დროს კანზე, უპირატესად – ძუძუს ქვეშე, მუცელზე, საზარდულის არეში შეწითლებული, დაცვარული უბნები ჩნდება, რომლებიც ხშირად გარშემორტყმულია პატარა ბუშტუკებით – პუსტულებით. გამონაყარი ხშირად მქავანაა. **ტერფების** სოკოვანი ინფექციის ეს ფორმა განსაკუთრებით ხშირია. ამ დროს კანდიდა ძირითადად თითებს შორის კანს აზიანებს ან სულაც უკვე დაზიანებულ (დამსკდარ) კანზე იკიდებს ფეხს და ისეთსავე სიმპტომებს იწვევს, როგორსაც კანის ბანალური სოკოვანი ინფექცია.

სოკოვანი ინფექციისგან განკურნება არცთუ ისე ძნელია, პრევენცია კი უფრო იოლი: კანის ზედაპირი მშრალად და სუფთად შეინარჩუნეთ, დაიკვლით წონა, დიაბეტის შემთხვევაში აკონტროლეთ სისხლში შაქრის დონე. მკურნალობენ ადგილობრივი და დასალევი მედიკამენტებით. სადღეისოდ სოკოვანი დაავადების საწინააღმდეგო ათასგვარი კრემი და ლოსიონი არსებობს, მაგალითად, მუსიტროლი.[27]

1.4. ანტიბიოტიკები და მათი რეზისტენტობა

მიუხედავად იმისა, რომ ანტიბიოტიკების გამოყენება კლინიკურ მკურნალობაში უთვალავია და მრავალფეროვანი, მხოლოდ ძალიან მცირე კლასები, ანტიბიოტიკების არის ხელმისაწვდომი, რომ ვუმკურნალოთ მუცლის ან კანდიდას სისტემურ ინფექციებს. სისტემური ინფექციების მკურნალობა ანტიბიოტიკების თერაპია იმართება თუ რამდენად არის ეს საშუალებები გამოყენებული მუცლის ან სისტემურ ინფექციების მკურნალობაში. ყველაზე რთული ინფექციები წარმატებით ინკურნება ანტიბიოტიკების წამლებით. სისტემური ინფექციები შესაძლებელია განიკურნოს როგორც დასაღვეი ასევე ვენური პრეპარატებით: ექინოკანდინსები არიან ინჰიბიტორები გლუკანური სინთეზის.[31] ექინოკანდინსები არიან ლიპოპეპტიდიური ანტიბიოტიკების საშუალებები, რომლებიც ანელებენ სოკოვანი კედლის სინთეზს, გლუკანური სინთეზის.[32] ენზიმის ინჰიბიტორებს მივყავართ სოკოვანი უჯრედების კედლის ფორმირებამდე, სტრუქტურული ინტეგრაციით, რომელიც საბოლოოდ იწვევს უჯრედოვანი დაუცველობის ოსმოტიკურ ლიზის. ყველა ეს სამი საშუალება აჩვენებს კონცენტრაცია დამოკიდებულ სოკოვან აქტივობას კანდიდას ყველა სახეობის წინააღმდეგ, იგი აღიარებულია FDA მარეგულირებელი სააგენტოს მიერ, რომლებიც მუშაობენ ეზოპაგური და ინვეზირებული კანდიდასის მკურნალობის პროცესების სასარგებლოდ. [33,34,35,36]

პოლიენესები მიბმულები არიან ერგოსტეროლთან. როგორცაა ნისტატინი და ამფოტერიცინი B ებმებიან ერგოსტეროლს და ანადგურებენ სოკოვანი უჯრედების მემბრანების მთავარ ლიპიდურ კომპონენტებს, რომლებიც ვითარდებიან ჰიდროფობის პროდიქციებში. შედეგად უჯრედოვანი გამტარიანობა არის შეცვლილი და მივყავართ ციტოსოლიკური კომპონენტის გათხევადობამდე და ხდება სოკოს სიკვდილი.[37,38,]

ნუკლეოტიდის ანალოგი- ინჰიბიტორები დმნ-ის და რნმ-ის სინთეზის.ფლუსიტინი (Flucytosine) არის პირიმიდინის მსგავსი, ხდება ტრანსფორმირება სოკოვან უჯრედებში ციტოზინის პერმიაზებით. შემდეგ ხდება დამინაცია (deaminated) 5-fluorouracil and phosphorylated to 5-fluorodeoxyuridine monophosphate. ნუკლეოტიდი ანელებს thymidylate სინთეზს (synthase) და ერევა დმნ-ის სინთეზში. 5-fluorodeoxyuridine monophosphate შეიძლება იყოს დამატებითი ფოსფორირებად და თანამშრომლობაში რნმთან, ამრიგად ახდენს გავლენას რნმ-ზე და პროტეინების სინთეზზე. [39]

სხვა ანტისოკოვანი საშუალებები ალილამინები (Allylamines) და სიოკარბომეტები (thiocarbamates) ანადგურებენ უჯრედოვან მემბრანას სკალალენ-ეპოქსიდაზას (squalene-epoxidase) შენელებით და ენზიმი, რომელიც ჩართულია ერგოსტეროლის ბიოსინთეზში.

Azoles აზოლები

ანტისოკოვანი წამლების უდიდესი ოჯახია, აზოლების ოჯახი. ისინი ანადგურებენ უჯრედების მემბრანას, lanosterol 14- α -demethylase ზე ინჰიბიტორების მოქმედებით, ენზიმი რომელიც ჩართულია ერგოსტეროლის ბიოსინთეზში. ერგოსტეროლი არის სოკოვანი უჯრედის მემბრანის ყველაზე დიდი სტერილური კომპონენტი, რადგანაც ერგოსტეროლს და ქოლესტეროლს აქვთ ეფექტური ზედაპირული სტრუქტურული განსხვავებები. ანტი სოკოვანი საშუალებების უმეტესობა, რომელიც გამიზნულია ბიოსინთეზისთვის რეაქციაში არ შედის მასპინძელ უჯრედებში, აზოლების ოჯახი მოიცავს იმიდაზოლს და ტრიაზოლს, ვორიკონაზოლს, პოსიკონაზოლს და კეტოკონაზოლს.

მრავალი აზოლი არის ეფექტური სოკოვანი ინფექციების პროფილაქტიკისათვის და მკურნალობისათვის, ამ თვალსაზრისით ისინი მოწონებას იმსახურებენ ამერიკის შეერთებული შტატების სურსათისა და წამლის ადმინისტრაცია

(FDA)- ის მიერ და ასევე ევროპის მედიცინის სააგენტის (EMA) მიერ.

რეზისტენტული პროცესები არის დაფუძნებული განსხვავებულ მექანიზმებზე, სახელდობრ რედუცირებულ წამალზე ინტერუჯრედოვანი აკუმულაციით. რეზისტენტობის განსხვავებული მექანიზმები არსებობს, რადგანაც ის დამოკიდებულია ანტისოკოვანი კომპონენტების მოქმედების ხასიათზე. უჯრედოვანი და მოლეკულური მექანიზმები, რომლებიც მხარს უჭერენ რეზისტენტობას აღნიშნული სოკოვანი კლასების წინააღმდეგ განხილულია აზოლების ჯგუფის მიმართ.

ბოლო 10 წლის განმავლობაში ფლოკუნაზოლი (fluconazole) და იტაკინაზოლი (itraconazole), არის გაოყენებული ექსტენსიურად სისტემური სოკოვანი ინფექციების მკურნალობისთვის, რადგანაც მათი დასაღვევი პრეპარატები უსაფრთხო და ხელმისაწვდომია. ფლოკუნაზოლის რეზისტენტობა არის აღწერილი პაციენტების მაღალი პროცენტულობით.

აზოლების რეზისტენტობა: 1.წამლის ტრანსპორტის აფრეგულაცია. 2.შემცირებული ლანესტეროლი 14 α - დემეთილი, რომელიც ურთიერთქმედებს წამალთან. 3.აპასიურებს C₅ სტეროლს, რომელსაც მიყვავართ ერგოსტეროლის მოქმედების ცვლილებებთან. 4.წამლის ეფექტის ურთიერთ საწინააღმდეგო ქმედება.

აზოლები დამოკიდებულია ევლუქსის ტუმბების ორი პრინციპული ოჯახის რეგულაციაზე.


აზოლები უმიზნებენ ერგოსტერულ ბიოსინთეზურ გზას, ერგოსტეროლი არის მნიშვნელოვანი კომპონენტი სოკოვანი უჯრედის მემბრანის, მისი სინთეზის შეწყვეტა საშუალებას იძლევა 14a- მეთილის სტეროლის დაგროვებას, რომლებიც გარდაქმნიან მემბრანის გამტარიანობის სტაბილობას. აზოლის სპეციფიკური სამიზნე არის ციტოქრომი P450- დამოკიდებული ენზიმა ლანოსტეროლი 14a-დემეთილაზა(ცნობილი როგორც Erg11 საფუარაში, რომელიც არის ჰომოლოგიური Cyp51A). Erg11/Cyp51A აკატალიზებს 14a-მეთილის ჯგუფს ოქსიდატივის პროცესის ლანესტეროლიდან. აზოლის დაკავშირება სამვალენტური რკინის ადგილებში ბლოკავს ენზიმას ბუნებრივ სუფსტრატულ ლანოსტეროლს და აზიანებს ბიოსინთეზურ ბილიკს, შუამავლები როგორცაა დოქსიციკლინი აძლიერებს, აზოლეს მოქმედებას. ბოლო წლებში მიკრობებმა ანტიბიოტიკებისადმი გამოიმუშავეს რეზისტენტობა, ამიტომაც ნაპოვნია ახალი საშუალება, ანტიბიოტიკების მოთავსება ნანონაწილაკებში, რომლების წამლის მოქმედების ეფექტურობას ზრდიან. [40,41,42]

1.5. ნანონაწილაკები

სხვადასხვა ინფექციების მკურნალობის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ინფექციის კერები კონკრეტულ ორგანოებზე და ქსოვილებზეა განლაგებული, ანტიბიოტიკის მიღების დროს წამალი მთელს სხეულში მეტ-ნაკლებად თანაბრად ნაწილდება სისხლძარღვთა ცირკულაციური სისტემის გამო, ამის გამო საჭიროა დოზის გაზრდა, რაც თავის მხრივ გვერდით ეფექტებსა და უკუჩვენებებს იწვევს, ორგანიზმში ნადგურდება, როგორც საზიანო ასევე სასარგებლო ბაქტერიებიც, სასარგებლო ბაქტერიები მოქმედებენ მავნე ბაქტერიებზე და ხელს უშლიან მათ გამრავლებას, ამიტომაც ანტიბიოტიკებით სასარგებლო ბაქტერიების განადგურება ხელს უწყობს მავნე ბაქტერიებს გამრავლებაში. მეორეს მხრივ სისხლის იმუნური სისტემის შემადგენელ კომპონენტებს ახასიათებს გარკვეულ ნაერთს დაშლის თვისება. ამიტომ ზოგიერთი პრეპარატის სისხლში შეყვანა არ არის პერსპექტიული, ვინაიდან პრეპარატი დაიშლება მანამ, სანამ ის მიაღწევს დანიშნულების ადგილს. ამიტომ მკურნალობის ეფექტურად წარმართვისთვის, საჭირო გახდა მეცნიერებს შეექმნათ წამლის გადამტანი საშუალებები, რომლებიც დანიშნულების ადგილზე მიიტანდა წამალს საჭირო კონცენტრაციით ისე, რომ არ შეეხოდა სხვა ორგანოებს და დაიცავდა გადასატან ნივთიერებას (წამალს) ფერმენტული ცილების დამანგრეველი მოქმედებისაგან. ცხადია რომ

ამგვარი გადამტანები რამდენიმე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდნენ, უნდა იყვნენ მცირე (ნაწილი = 1×10^{-9} მ) ზომის, სტაბილურები, არატოქსიკური და ბიოდეგრადირებადი. გავრცელებულია სხვადასხვა სახის ბიონანოტრანსპორტერები, როგორცაა დენდრიმერები, ლიპოსომები, PLGA და PCL. ჩვენ ექსპერიმენტში სწორედ ამ უკანასკნელს - PCL-ს ვიყენებთ. წამლების მიწოდება სამიზნე ქსოვილებთან/ორგანელებთან წამლის გადამტანი სხვადასხვა ნაწილისტემების საშუალებით, ფართოდ არის გავრცელებული ახლანდელ დროში. ისინი საშუალებას იძლევიან, რომ გავზარდოთ წამლების სელექტიურობა და ეფექტურობა. ასევე, შევამციროთ გვერდითი ეფექტების გამოვლინება და მინიმუმამდე დავიყვანოთ ან სრულად აღმოვფხვრათ წამლებისგან გამოწვეული ტოქსიურობა. წამლის გადამტანი ნაწილისტემების საშუალებით შესაძლებელია თერაპიული აგენტების მიწოდება დაზიანებულ ქსოვილებთან უცვლელი სახით. მათ მიერ გადაიტანება: ანტიბიოტიკური პრეპარატები, ანტიჰიპერტენზიული აგენტები, იმუნომოდულატორები, ჰორმონები, 5 პროტეინები, დნმ, ანტისხეულები, ანტიბიოტიკები და სხვა. წამლების ენკაპსულირებით ზემოაღნიშნულ სუპრამოლეკულურ გადამტანებში, სამიზნე ადგილებში მიწოდებული წამლის კონცენტრაცია იზრდება, ხოლო სხვა ადგილებში, სადაც არაა გათვალისწინებული წამლის მიწოდება, – მცირდება ან საერთოდ არარსებულია.

1.6 PCL ნაწილისტემა




სურ: 1.3

ნაწილისტემატების სისტემების გამოყენება წამლისმოხმარებისთვის, განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა წლების განმავლობაში, რადგან მათ წარმატებით შეუძლიათ მაქსიმალურად გაზარდონ პრეპარატის მოლეკულების ეფექტურობა.[43] მიმდინარეობს სხვადასხვა ბუნებრივი და სინთეზური პოლიმერების კვლევა წამლის გადამტანი ნაწილისტემატების დასამზადებლად.[44,45,46] მაქსიმალურად ეფექტური სატრანსპორტო სისტემის შესაქმნელად აუცილებელია შეირჩეს ისეთი შესაფერისი პოლიმერული მატრიქსი, რომელიც შეიძლება რომ შედგებოდეს როგორც სტაბილური, ასევე დაშლადი

პოლიმერებისაგან. ნანონაწილაკები არიან ნაწილაკები დიამეტრის დიაპაზონიდან 1-დან 100 ნმ-მდე, როგორც წამლის მიწოდების სისტემა, მას შეუძლია შეიკავოს წამალი ან ბიომოლეკულები თავის შიდა სტრუქტურაში ან მის ზედაპირზე.[47,48]

ნაწილაკის ზომების გამო, ნანო ნაწილაკს შეუძლია გადაადგილება თავისუფლად ორგანიზმში უპატარესი კაპილარული ვენების უჯრედებში და ქსოვილების ღრეოებში, რათა მიაღწიონ სამიზნე ორგანოებს და მოხდეს მასში მოთავსებული წამლის გამონთავისუფლება. ნანონაწილაკების ეს თვისებები ხელს უწყობს ნანონაწილაკში არსებული წამლის მოლეკულების ბიოგანაწილებას და ფარმაკოლოგიურ მოდიფიცირებას, რომლებსაც მივყავართ წამლის ეფექტურობის ზრდასთან და არასასურველი უკუჩვენებების შემცირებასთან. ნანონაწილაკები შეიძლება მომზადდეს არაორგანული ან პოლიმერული მასალებისგან. პოლიმერული ნანო ნაწილაკები არიან უფრო გავრცელებულნი და შესაფერისები, რადგან შესაძლებელია მათი ქიმიურად მოდიფიცირება, რომ იყვნენ ქიმიურად ბიოდეგრადირებულნი და ბიოთავსებადნი.[49,50,51] ბიოდეგრადირებადი ნივთიერებები იშლებიან ენზიმატიკურად ან არაენზიმატიკურად ან ორივე ნაირად იმასათვის, რომ იყვნენ არატოქსიკურები. ბიოდეგრადირებადი პოლიმერების გამოყენება კიდევ უფრო გაიზარდა ბოლო ატწლეულებში. ზოგადად ისინი შესაძლებელია იყვნენ კლასიფიცირებულნი სინთეტიკურ ბიოდეგრადირებად პოლიმერებად, რომლებიც მოიცავენ შედარებით ჰიდროფობულ მასალებს პოლი-ლაქტურ-კო-გლიკოლის მჟავას (PLGA), პოლიპროპილენოკოლონი (PCL) და სხვა, ან ბუნებრივად მოპოვებად პოლიმერებს, როგორც არის ქიტოსანი, ჰიალურონი და სხვა. სინთეტიკური პოლიმერებს აქვს ბევრი თანდაყოლილი უპირატესობა, რადგან შეიძლება მათი სტრუქტურების მანიპულაცია იმისთვის, რომ შეიქმნას, კონკრეტული მომხმარებლის, შესაფერისი სპეციალიზირებული გადამზიდები.

PCL არის ნახევრად კრისტალური პოლიესტერი $(C_{16}H_{32}O_2)_n$, რომელიც ჰიდროფობულია, ბიოდეგრადირებადი და ბიოთავსებადი, სხვა პოლიმერებთან შედარებით, PCL-ს ბიოდეგრადირების პროცესი ნელია, თუმცა ყველაზე შესაფერისი მართვადი სისტემა აქვს, გარდა ამისა, PCL-ს აქვს შესანიშნავი შემადგენლობა სხვა პოლიმერებთან თავსებადია, რაც ხელს უწყობს სასურველი თვისებების შერწყმას(მიღებას) როგორცაა დეგრადაციის კინეტიკა, ჰიდროფილურობა.[52,53,54,55]



სურ: 1.4 ნანონაწილაკი PCL-ის ქიმიური კონფიგურაცია.

სხვადასხვა მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას ნანონაწილაკების მომზადებაში, რომელთა დიდი ნაწილი ემულსიური აორთქლების ტიპისაა. ნანო-ემულსიების მომზადება სპონტანური ემულსიფიკაციის მექანიზმის მეშვეობით წყლის შეუთავსებელი გამხსნელის გამოყენებით არის დადგენილი მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა ნანო-ზომის წვეთები წარმოქმნას. ნანო-ემულსიები მზადდება ნავთობის წყალში დისპერციებით, რომლებიც 100-დან 600 ნმმდეა.[56,57,58,59]

მიუხედავად იმისა, რომ პოლიმერული ნარევების ემულსიფიკაცია ცნობილია ეფექტური მეთოდია, ის შეიძლება იყოს დაკავშირებული შეზღუდვებთან, რომელიც ითვალისწინებს და აკონტროლებს ნაწილაკების ზომისა და განაწილების პროცესის ეფექტურობისა, როდესაც ხდება ნაწილაკების გამონთავისუფლება ემულსიიდან დადგენილი პროცესების საშუალებით. Supercritical fluid extraction of emulsion (SFEE) ემულსიის სუპერკრიტიკული სითხის მოპოვება არის ნაწილაკის ფორმირების ტექნიკა, სადაც ის იყენებს სითხეს supercritical fluid (SCF), როგორცაა supercritical carbon dioxide (scCO₂), რომ სწრაფად იყოს გამოყოფილი გამხსნელის ან ემულსიის ზათოვანი ფაზა. გამხსნელის მოცილებას მივყავართ დალექვამდე, რაც იწვევს წყლის სუსპენზიას(suspension), რომელიც შეიცავს ნანო ნაწილაკებს. მიღებული წყლის სუსპენზიიდან ნანო ნაწილაკების გამოყოფა შეიძლება მოხდეს ცენტრიფუგირებით და აორთქლებით ოთახის ტემპერატურაზე. ნაწილაკები რომლებიც არიან წარმოქმნილნი SFEE საშუალებით აქვთ დადგენილი ზომა და მორფოლოგია, რადგან ემულსირების პროცესი უზრუნველყოფს ნიმუშს და scCO₂ სწრაფი კინეტიკური პროცესების თავიდან აცილებას ნაწილაკების აგლომერაციას. [60,61,62]

ამ კვლევის მიზანი იყო, რომ შექმნილიყო პოლი-ნანო ნაწილაკები, scCO₂ -ის გამხსნელის გამოყენებით ნანო ემულსირებით, რომელიც იყო მომზადებული სპონტანური ემულსიფიკაციის პროცესის საშუალებით. კიდევ ერთი მიზანი ამ კვლევისა იყო ნანონაწილაკების თავსებადობისა და სხვადასხვა პარამეტრების ეფექტურობის შესწავლა, რომელის ზეგავლენას ახდენს ნანო ნაწილაკის მომზადების პროცესზე, სადაც გამოიყენება PCL- ი როგორც პოლიმერული ნიმუში.[63]

მომზადების მეთოდები

ზეთოვან წყალში ემულსიის მომზადება

ნანო-ემულსიები მომზადდა სპონტანური ემულსიფიკაციის მექანიზმის მეშვეობით. PCL ემულსიების მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდი ადაპტირებულია კვლევებიდან, რომლებიც ჩაატარებულია პრიოტოს და კალვოს მიერ. ორგანული ფაზა შედგება PCL-ის ჰომოგენური გამხსნელისაგან აცეტონისა და Tween 80 -გან. ამავდროულად დეიონიზირებული წყალი ქმნის წყლის ფაზას. საბოლოო ჯამში, PCL-ის შესაბამისი რაოდენობა, პირველადი კონცენტრაციის მისაღებად, იხსნება აცეტონში (0.6-10% w/w) ტერმოსტატიკული წყლის აბაზანაში 40°C-ზე, მანამ სანამ დაემატება surfactant ცენტრიფუგის მილში, რათა მოხდეს საჭირო კონცენტრაციების მოპოვება, (მიღება). მილში არსებული შემადგენლობა ირევა 1-წთ ის განმავლობაში ვორტექსის მიქსით. ამის შემდეგ 35,8გ თბილი დეიონიზირებული წყალი დაემატა (40°C) და ისევ მოტავსდა ვორტექსის მიქსში 5 წთ ით, რომ მოხდეს ჰომოგენური ემულსიის ფორმირება. გამხსნელის მოცილების პროცესი სწრაფად ტარდება, ემულსიის მომზადებისას. [64,65,66]

გამხსნელის მოცილება მეშვეობით SFEE

SFEE ჩატარდა, სადაც 25-გ ემულსია გამოყენებულია მაღალი წნევის ჭურჭელში (Thar Process Inc., აშშ), რომელიც 40 ° C (± 2 ° C) იყო გაცხელებული, ჭურჭელი იხურება და იტუმბება თხევადი CO₂-ით, სადაც წნევამ უნდა მიღწიოს 100 ბარს, სისტემა რჩება წონასწორულ მდგომარეობაში მორევის პროცესში 15 წთ ის განმავლობაში. სანამ გაცხელდება 1 სთ-ის გამნმავლობაში ვაწვდით ახალ CO₂-ს. თავდაპირველი ექსპერიმენტი ჩატარდა კონტროლირებადი (მართვადი) SCCO₂ ნაკადი 1, 4 ან 10 გ / წთ, რათა დადგინდეს SCCO₂ მოპოვების ეფექტურობა. ნიმუში მოპოვებულია მაღალი წნევის მატარებელი ჭურჭლიდან. აცეტონის პოპოვების (გამოყოფის) ეფექტურობა დგინდება წონის სხვაობის გამოყენებით პროცედურამდე და პროცედურის შემდეგ. [67,68]

გამხსნელის გამოყოფა ატმოსფერული წნევის დროს

გამხსნელის გამოყოფა ატმოსფერული წნევის დროს იყო 40 ° C -ზე (± 2 ° C) თერმოსტატული წყლის აბაზანაში, 25-ე ემულსიით, რომელიც 50 მლ-იან ჭურჭელში. აცეტონის აორთქლება განისაზღვრა 0, 1, 2, 3, 4 და 24 საათის განმავლობაში SFEE-ის მსგავსად წონის სხვაობის გამოყენებით. [69,70]

ნაწილაკების ზომა და zeta პოტენციური გაზომვა

ეს ზომები ჩატარდა ნანონაწილაკის ზომისა და ზედაპირის მუხტის დასადგენად. საშუალო ნაწილაკების ზომები და polydispersity ინდექსი (PDI) იზომება

დინამიური სინათლის გამფანტავის (DLS) გამოყენებით Zetasizer Nano-ZS. ინსტრუმენტი აღჭურვილი იყო 633 ნმ-ზე ლაზერული ემისიებით და 173 ° -იანი კუთხით. ნიმუშები განზავებული იყო დეონიზირებული წყლით (4 in 1) და გაზომვები სამმაგად ჩატარდა ოთახის ტემპერატურის დროს (25 ° C). ნაწილაკის ზომის სიდიდე იყო საშუალოდ სამი დამოუკიდებელი გაზომვით. გაზომვები ჩატარდა სამმაგად ერთსა და იმავე ნიმუშზე, რომელიც გამოყენებულია ნაწილაკის ზომების გასაზომად. [71,72,73]

ნაწილაკების მორფოლოგია

ელექტრონული მიკროსკოპით ჩატარდა ნანონაწილაკების ზომისა და ფორმის გაზომვა, გაყინული ნაწილაკების წყალხსნარი დისპერსირდებოდა, თხევად პირობებში ვაკუუმის დროს, 55^o C-ზე. გამოყენებულია ScanVac CoolSafe გაყინვის საშრობი.[74,75] დაახლოებით 1 მგ მშრალი ნაწილაკები თავსდებოდა ნიმუშის ჭურჭელში(stub ?), რისთვისაც გამოიყენება CO₂ - ის ათჰეზია, შედეგად გაუხსნელი ნაწილაკები მოცილდება. ნიმუში იფარება ქრომით, შემდეგ stub თავსდება დამჭერში და იდგმება Hitachi SU8030 ელექტრონულ მიკროსკოპში სკანირებისათვის. [76,77]

თავი II

ექსპერიმენტული ნაწილი, გამოყენებული მასალები და მეთოდები

2.1. კვლევებში გამოყენებული მასალები

ექსპერიმენტისთვის შერჩეული იქნა *Candida albicans* ATCC 60193, - 80 °C გლიცეროლში შენახული შტამი დაითესა საბურო დექსროზას ნიადაგზე ინკუბირება 37 °C 24 საათი, მეორე დღეს ერთეული კოლონიები გადაითესა იგივე ნიადაგზე, ინკუბირება 37°C 24 სთ. ღამის კულტურისგან 0.9% ფიზიოლოგიურში მომზადდა მიკრობის სუსპენზია ერთი მაკვალანდიანი სტანდარტით, რომელიც გამოყენებულია ექსპერიმენტებში.

ანტიბიოტიკად გამოყენებული იქნა აზოლების ჯგუფის ანტიბიოტიკი კეტაკონაზოლი, რომელიც არის კომერციული წარმომავლობის და სხვადასხვა თანაფარდობით (0-100%) მომზადებული იქნა PCL ნანონაწილაკებთან კომპლექსში. ნანონაწილაკების ეს კომპლექსი მომზადებულია გერმანიის საარბრიუკენის უნუვერსიტეტის ფარმაკოლოგიურ ლაბორატორიაში და გამოიგზავნა ჩვენთან აღნიშნული კვლევების მიზნით.

2.2. კალორიმეტრიული მეთოდი

ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოდელური და ბიოლოგიური მემბრანების თერმოდინამიკაზე. მისი დახმარებით არეგისტრირებენ და იკვლევენ ლიპიდების ფაზური მდგომარეობის ცვლილებას და ასევე ახასიათებენ ამ მდგომარეობის დარღვევას ლიპიდების ურთიერთქმედებისას სხვა ნივთიერებებთან (ცილებთან, იონებთან ან პატარა ჰიდროფობურ მოლეკულებთან).

კალორიმეტრის ძირითადი მახასიათებლები

1. ფაზური გადასვლის ტემპერატურა T_m (გადასვლის საშუალო წერტილი, რომელსაც ლიტერატურაში ასევე აღნიშნავენ როგორც T_m), შეესაბამება გადასვლის შუა წერტილს. ორ მდგომარეობას შორის გადასვლისას T_m განისაზღვრება, როგორც წერტილი სადაც $\Delta G^0 = 0$:

$$\Delta G^0 = 0 = \Delta H - T_m \Delta S \quad (1)$$

$$T_m = \Delta H / \Delta S \quad (2)$$


ეს თანაფარდობა შეიძლება გამოვიყენოთ გადასვლის ენტროპიის ΔS -ის მოსაპეზნად, T_m -ის და ΔH -ის გაზომვის შემდეგ .

2. გადასვლის T_c ტემპერატურა, რომელიც შეესაბამება გადასვლის დასაწყისს .

3. გადასვლის ენტალპია ΔH - სითბოს რაოდენობა, რომელიც საჭიროა გადასვლის განსახორციელებლად გათვლილი ნივთიერების ერთ მოლზე ან ერთეულ მასაზე.

4. სითბოტევადობა C_p - სითბოს რაოდენობა (გადათვლილი ერთ გრამზე ან მოლზე), რომელიც აუცილებელია ნიმუშის ტემპერატურის მოსამატებლად ერთი გრადუსით.

განვიხილოთ დსკ-ს მოქმედების პრინციპი დეტალურად; დიფერენციალური სკანირებადი კალორიმეტრი შედგება ორი კამერისაგან: მათგან ერთში თავსდება გამხსნელი, მეორეში – გამხსნელისა და გამოსაკვლევ ნივთიერების ნარევი. ვინაიდან კალორიმეტრის კამერები აბსოლუტურად იდენტური ვერ იქნება, გაზომვის სიზუსტისათვის თავდაპირველად კამერებს ავსებენ ერთი და იმავე სტანდარტული სითხით (გამხსნელით) და იწერება ე.წ. ბაზისური ხაზი ტემპერატურის საჭირო ინტერვალში. ბუნებრივია, ბაზისიური ხაზი გამოდის სწორხაზოვანი.



სურ. 2.1 DASM 4A კალორიმეტრის კამერა

1. პლატინის კაპილარები
2. უჟანგავი ფოლადის თხელი მილები
3. თერმობატარეა

